ინტერაქტიული რუკების გამოყენების პერსპექტივები ეთნოკულტურული ლანდშაფტების ატლასში: თანამედროვე კარტოგრაფიის ინოვაციური მიდგომა

გიორგი აბრამიშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.abramishvili750@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ციფრულ ეპოქაში, გეოგრაფია სულ უფრო იძენს გამოყენებით და ინოვაციურ ხასიათს, რაც მნიშვნელოვან წინაპირობად აყალიბებს ტრადიციული ატლასური კარტოგრაფიის განვითარებას ინტერაქტიულ, მულტიფუნქციურ პლატფორმებად. მოცემული პრეზენტაცია მიზნად ისახავს ინტერაქტიული რუკების გამოყენებით ვირტუალური ტურიზმის მოდელების ანალიზსა და მათი ეკონომიკური პოტენციალის გამოკვეთას ეთნოგრაფიულად მდიდარ რეგიონებში.

ინტეგრირებული მიდგომით გაანალიზებულია ტოპონიმიკა, გეოინფორმაციული მონაცემების ინტერპრეტაცია, კულტურული მემკვიდრეობის ციფრული რუკები და მათი გარდაქმნა განათლების, ტურიზმისა და რეგიონული განვითარების კომპონენტებად. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ინტერაქტიური ატლასები გახდეს გეოგრაფიული განათლების ახალი ინსტრუმენტი, აუდიტორიის სივრცითი ცნობიერების ფორმირებისა და ტერიტორიული იდენტობის განმტკიცების ფარგლებში.

ციფრულ პლატფორმებზე დაფუძნებული ვირტუალური ტურები არამხოლოდ ხელს უწყობს სივრცის ინტერპრეტაციას, არამედ რეალურ ეკონომიკურ ღირებულებასაც ქმნის — ამავდროულად, აგენერირებს საგანმანათლებლო და საინვესტიციო შესაძლებლობებს. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების, კულტურული გეოგრაფიისა და ციფრული ჰუმანიტარისტიკის შესაყარზე მდგომი ეს მიდგომა იძლევა ახალ პერსპექტივას სივრცის, მეხსიერების და იდენტობის ურთიერთქმედებაზე, რაც გეოგრაფიის დისციპლინის გამოყენებით პოტენციალს მკვეთრად ზრდის და აღიარებს მას, როგორც სტრატეგიულ დისციპლინას ციფრულ ეპოქაში.